ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

ნელი ვარდიაშვილი – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.11.2016

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 013/16

შეკითხვა:

დასაშვებია თუ არა მოქმედი რეგულაციების მიხედვით, სასამართლო სხდომაზე საქმის ზეპირი განხილვისას ადვოკატის მხრიდან საკუთარი პოზიციის განსამტკიცებლად და მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტების გასაბათილებლად, საკუთარ საადვოკატო გამოცდილებაზე აქცენტის გაკეთება და ამის საპირისპიროდ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის შესაძლო გამოუცდელობაზე მითითება (რაც მხოლოდ განპირობებულია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის ასაკით). კერძოდ, შეაფასეთ შემდეგი ფრაზა: *„... იმდენი წელია ადვოკატი ვარ, შენნაირი ბავშვი კი არ ვარ“.*

ასევე წერილობითი რეკომენდაციის გაცემისას მხედველობაში მიიღეთ ის ფაქტი, რომ ამავე პროცესს ესწრება მხარე, რომლის ადვოკატსაც მიემართება ზემოაღნიშნული ფრაზა და არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ კლიენტს გაუჩნდეს განცდა მისი ადვოკატის არაკომპეტენტურობის თაობაზე.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.“

ადვოკატის მხრიდან განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 04 აპრილის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №023/11/ დაადგინა, რომ ,,ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, ადვოკატის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.“

ადამიანის უფლებათა შორის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა. აღნიშნული დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუმცა, იგი ექვემდებარება ამავე მუხლებით დადგენილი უფლების შეზღუდვის საფუძველს. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ,,ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის... თავისუფლება.“ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება „თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით.“ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „სიტყვისა და გამოხატვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი ლახავს სხვათა უფლებებს ან ღირსებას.“

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სახეზეა მიზანმიმართული განცხადება ადვოკატის მხრიდან, მის კოლეგასთან მიმართებით, მოწინააღმდეგე მხარის (კლიენტის) და საკუთარი კლიენტის წინაშე, გამოხატული ფრაზით - *„... იმდენი წელია ადვოკატი ვარ, შენნაირი ბავშვი კი არ ვარ“.*

ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის პროცესში, დაიცვას კანონი და ეთიკის ნორმები, მათ შორის კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის პროფესიული ვალდებულებები. აღნიშნული გამოხატავს კოლეგებს შორის ურთიერთპატივისცემას, ასევე, პროფესიული საქმიანობისა და პოზიციების პატივისცემას, რაც არ უნდა მიუღებელი იყოს კონკრეტული პოზიცია კონკრეტული ადვოკატისათვის. დისციპლინური კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატს, მსგავს შემთხვევაში, შეუძლია გამოიყენოს საპოცესო სამართლებრივი მექანიზმები, მათ შორის სარჩელსა და შესაგებელში საკუთარი არგუმენტირებული პოზიციების წარდგენის შესაძლებლობით.

მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისათვის მსგავსი სახით მიმართვა, როგორც შეკითხვაშია გადმოცემული, არღვევს კოლეგიალობის პრინციპს, ვინაიდან მსგავსი განცხადებით ადვოკატი მისი და პროცესუალური მოწინააღმდეგის კლიენტის, ასევე, სასამართლოს წინაშე თავის პროფესიულ ღირსებებს აყენებს მის კოლეგაზე მაღლა, ხოლო კოლეგის პროფესიულ შესაძლებლობებს აკნინებს.

დასკვნა:

შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისადმი მიმართული ფრაზის გამოყენება არღვევს კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცემის პროფესიულ ვალდებულებას, ვინაიდან ფრაზის ავტორი ადვოკატი ცდილობს კოლეგის პროფესიული უნარების დაკნინების ხარჯზე მიუთითოს საკუთარ პროფესიულ ღირებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ ეთანხმება კოლეგის პოზიციას, მას შეუძლია

გამოიყენოს საპოცესო სამართლებრივი მექანიზმები, და შესაბამისი გზით გამოხატოს საკუთარი მოსაზრება.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნელი ვარდიაშვილი/